ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

„ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანისთვის“

ავტორი – **თორნიკე გიორგაძე**

ხელმძღვანელი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი **პაატა ტურავა**

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი

2019

სტრუქტურა

სტრუქტურა I

შესავალი 1

I საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საფუძვლები 4

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები 6

3. პასუხსიმგებლობის დაკისრების წინაპირობები 7

II ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი 12

1. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა 12

2. არაქონებრივი ზიანი 13

2.1 ცნება 13

2.2 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები 15

2.3 არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა - სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი 16

2.4 მორალური ზიანი - სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი 18

2.4.1 ზოგადად ნორმის შესახებ 18

2.4.2 ნორმის მიზანი და ფუნქცია 18

2.4.3 მოთხოვნის წინაპირობები 20

2.4.4 არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა და ანაზღაურების ფორმები 25

2.4.5 მოთხოვნის ხანდაზმულობა 30

III არაქონებრივი ზიანისათვის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცალკეული ნორმატიული საფუძვლები 31

1. ზოგადი 31

2. უკანონო პატიმრობა 32

3. საჯარო ინფორმაციაზე უარი 34

4. დისკრიმინაცია 36
5. გაჭიანურებული ადმინისტრაციული წარმოება 37

IV დასკვნა 44

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

ა. შ. - ასე შემდეგ
გვ. - გვერდი
გსკ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი
ე. წ. - ეგრეთ წოდებული
იხ. - იხილეთ
რედ. - რედაქტორი
სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სხვ. - სხვა
შეად. - შეადარე

გერმანულ ენაზე:

BGH – Bundesgerichtshof
ff – fort folgende/ folgend(e)
JuS. - Juristische Schulung
NJW. - Neue juristische Wochenschrift (Zeitschrift)
NVwZ. - Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht
OLG – Ober Landes Gericht
Rn. – Randnummern
S. – Seite
SS. – Seiten

შესავალი

სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც სახელისუფლებო ძალაუფლების მატარებელი სუბიექტის მოვალეობაა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ისე განხორციელება, რომ დაცული იყოს კერძო პირთა უფლებები და არ მოხდეს მათი არამართლზომიერი შეზღუდვა.[1] საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანისათვის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების უფლება.[2] ანაზღაურებას ექვემდებარება მიყენებული ზიანი სრულად, რაც თანაბრად მოიცავს დამდგარ ქონებრივ და მორალურ ზიანს.[3] ადმინისტრაციული ორგანოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ადამიანის პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის გათანაბრების, გაწონასწორების საკითხი წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტაც ქართულ რეალობაში მრავალმხრივ ანალიზს საჭიროებს.[4]

თანამედროვე სამართალბრუნვის პროცესში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს მნიშვნელოვან და მრავალასპექტიან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სამართლის პრაქტიკისა და თეორიის არაერთგვაროვან მიდგომებთან.[5] თანდათანობით მატულობს ინტერესი ისეთი სიკეთეების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების მიმართ, რომელთა ფულადი სახით გამოხატვაც შეუძლებელია. არაქონებრივი სამართლებრივი სიკეთეების დაცვა გამომდინარეობს და

---

[1] Sauer: Staatshaftungsrecht (JuS 2012, 695); Unterreitmeier: Aufopferungsentschädigung für immaterielle Nachteile (NVwZ 2018, 383 ff.); BGH: Entschädigung für enteignungsgleichen Eingriff (NJW 1984, 1169).

[2] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998 , გვ.5.

[3] *იქვე.*

[4] *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ.97.

[5] *ბიჭია მ.,* არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3(51)16, გვ.98.

მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროსთან.[6] შესაბამისად, განსაკუთრებული ინტერესის საგანია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტების მიერ აღნიშნული უფლებების ხელყოფის შედეგად გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი.

საქართველოს კანონმდებლობა არაქონებრივი ზიანისათვის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ სხვადასხვა საგამონაკლისო ნორმებს იცნობს, თუმცა ამ ნორმებით გარანტირებული უფლებების რეალიზების შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში ხშირი არ არის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია არაქონებრივი ზიანისათვის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გაანალიზება და იმ პრობლემური საკითხების გამოკვეთა, რაც ამ სახის ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებასთანაა დაკავშირებული. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილდება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ისეთ ნორმატიულ საფუძველზე, როგორიც ადმინისტრაციული წარმოების ვადების დარღვევაა. მიუხედავად იმისა, რომ დაუსრულებლად გაჭიანურებული ადმინისტრაციული წარმოების პრობლემა წლების მანძილზე აქტუალური იყო საქართველოში, ნორმა, რომელიც ამ უფლების დარღვევისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას წარმოშობს სიახლეა ქართულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, ამ ინსტიტუტის განვითარებისა და დახვეწისათვის აუცილებელია საკითხის ირგვლივ როგორც თეორიული მსჯელობა, ისე სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. წინამდებარე ნაშრომი თეორიულ დონეზე ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელიც ამ ნორმის საფუძველზე გაჭიანურებული ადმინისტრაციული წარმოებით დაზარალებულ პირებს პრობლემის

---

[6] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998 , გვ.5; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ.97.

გადაჭრის გზას შესთავაზებს და ამ ინსტიტუტის განვითარებისთვის პირველ ნაბიჯებს დგამს.

კვლევა ეფუძნება სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს, ნორმატიულ, ლოგიკურ და დოქტრინულ მეთოდებს. საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში წარმოშობილი დარღვევების შესახებ საქართველოში არსებული მდგომარეობის თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში ასევე წარმოჩენილია სტატისტიკური მონაცემები, რაც გამოკვეთს იმ ძირითად პრობლემურ ინსტიტუტებს, რომელთა განვითარებასაც წინამდებარე ნაშრომი ისახავს მიზნად.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ნორმატიული საფუძვლები და წინაპირობები, საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სუბიექტის განსაზღვრისა და მოთხოვნის რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომის მეორე თავი ეთმობა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით გამოწვეული ზიანის სახეებს, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის საკითი, თუმცა ძირითადი ყურადღება თემის მიზნებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის არსის, მისი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების, ანაზღაურების ფუნქციის, მიზნებისა და ფორმის განხილვას დაეთმობა. ნაშრომის მესამე თავში განხილულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ცალკეული ნორმატიული საფუძვლები და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემის გააზრებასა და გადაჭრის გზებს.

I საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საფუძვლები

1. საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საფუძვლების ზოგადი მიმოხილვა

საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი აქტუალური სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განვითარებისა და სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ ხალხის აღიარების შემდგომ გახდა.[7] წინარე პერიოდში, როდესაც მონარქების მიერ სახელმწიფოს მართვის უფლება ღმერთისგან ბოძებულ ძალაუფლებასთან ასოცირდებოდა, მიიჩნეოდა, რომ სახელმწიფო ხელისუფალს არ შეიძლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაედინა, რამდენადაც იგი ღვთიური ნების აღმასრულებელს წარმოადგენდა. შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს კანონის დარღვევის შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ იგი სცდებოდა მისთვის მონარქისგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და ამ ქმედებისთვის პასუხს აგებდა როგორც კერძო პირი, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კი დღის წესრიგში არ დგებოდა.[8]

დღესდღეისობით საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კონსტიტუციური რანგის უფლებაა და ეროვნული თუ ევროპის სასამართლოს არაერთი განმარტების

---

[7] *ზომერმანი კ.პ.,* საჯარო მმართველობა დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ. 22-23; *ხუბუა გ.,* საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ. 63; *ტურავა პ.,* საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ. 109.

[8] Sauer: Staatshaftungsrecht (JuS 2012, 695)

შესაბამისად ეს უფლება მოიცავს მოთხოვნას როგორც **ქონებრივი** ისე **არაქონებრივი** ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[9]

საჯარო ხელისუფლებაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან მოსამსახურე მოიაზრება. ამ ნორმით საჯარო ხელისუფლებად განხილულია მმართველობითი ფუნქციის მატარებელი აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი სუბიექტები.[10]

საჯარო მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრებისთვის კონკრეტული ნორმა კანონმდებელმა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში გაითვალისწინა და ყველა ეს ორგანო ერთი ცნების -„ადმინისტრაციული ორგანო"-ს ქვეშ გააერთიანა.[11]

სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის „ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე

---

[9] ECHR, 2011 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე - *Enukidze and Girgvliani v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 25091/07); ECHR, 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Jashi v. Georgia,* (საჩივრის ნომერი: 10799/06); ECHR, 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Janiashvili v. Georgia.* (საჩივრის ნომერი: 35887/05); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nბს-134-132(კ-15) განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება.

[10] *ტურავა პ.*, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ 106.

[11] *ტურავა პ.*, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ 106.

ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

საქრთველოს კანონმდებლობით აღიარებულია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ადმნისტრაციული ორგანოს მიერ გამოწვეული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი, რომლის დაცვაც შიდასაკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონებით.[12]

2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და სამოქალაქო კოდექსში.[13]

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

ვინაიდან ეს ნორმა მხოლოდ ზოგად მითითებას შეიცავს დამდგარი ზიანის შესაბამისი ორგანოების სახრებიდან ანაზღაურების თაობაზე, საკითხის სრულყოფილად მოწესრიგების მიზნით კანონმდებელმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის XIV თავით ცალკე

---

[12] *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 209.

[13] *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 210.

გამოყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები.[14]

სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები, თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სზაკ-ის 208-ე მუხლი კი ადგენს, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო თუ საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელობა ეკისრება შესაბამისად სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტს. ხოლო, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი უფრო დაწვრილებით მოწესრიგებულია სსკ-ის 1005-ე მუხლით. ეს ნორმა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის დამატებით წინაპირობად ქმედების ჩამდენი საჯარო მოხელის ბრალეულობას განიხილავს და ამ გარემოების არსებობის შემთხვევაში მას სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულ პასუხისმგებლობას აკისრებს.[15] ხოლო, ამავე მუხლის მეორე ნაწილი გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, იმ შემთხვევებისათვის თუ დაზარალებული ბრალეულად არ შეეცადა თავიდან აეცილებინა დამდგარი ზიანი.

3. პასუხსიმგებლობის დაკისრების წინაპირობები

[14] *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 211.
[15] იქვე.

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის აუცილებელია ზიანის გამომწვევი ქმედება დაკავშირებული იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, იყოს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული, მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან და ზიანი ადგებოდეს სხვა პირს.[16]

საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესი მოიცავს ამ უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო მოხელეებისა თუ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი კერძო პირების ქმედებებს.[17] პირის ქმედების საჯარო სამართელებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობად განხილვისათვის, უნდა შეფასდეს ამ კონკრეტული საქმიანობის პროცესში მისი მიზანი იყო თუ არა სახელისუფლებო საქმიანობის განხორციელება და ამ მიზანსა და ზიანის გამომწვევ ქმედებას შორის არის თუ არა იმდენად მჭიდრო შინაგანი და გარეგანი კავშირი, რომ ეს ქმედება სახელისუფლებო საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულად განიხილებოდეს.[18]

ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ მის ფუნქციაზე, დავალებაზე რომლის შესრულებასაც კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული საქმიანობა ემსახურება. საკმარისია, რომ მისი სამუშაო ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული და ის ამ საქმიანობაში

---

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nბს-134-132(კ-15) განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის Nბს-710-702(2კ-15) განჩინება; *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 212.

[17] Bundesverfassungsgericht, Beschluss 1 BvR 2853/08, verkündet am 11.11.2009; Schlick: Die Rechtsprechung des BGH zu den öffentlich-rechtlichen Ersatzleistungen (NJW 2018, 2684); OLG Brandenburg Urt. v. 30.9.2014 – 2 U 7/14, BeckRS 2014, 18672.

[18] Schlick: Die Rechtsprechung des BGH zu den öffentlich-rechtlichen Ersatzleistungen (NJW 2018, 2684).

იმდენად მნიშვნელოვნად იყოს ჩართული, რომ მისი ამოცანის შესრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული და მის ქმედებაში ასახული სახელისუფლებო საქმიანობის პირდაპირ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდეს.[19]

საჯარო მოსამსახურეების გარდა, რომლებიც დანიშნული არიან საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე[20] და რომელთა ძირითადი მოვალეობაც ადმინისტრაციული ორგანოს ამოცანების შესრულებაა[21], საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებლებად გვევლინებიან ისეთი კერძო პირები, როგორიცაა სასწარაფო სამედიცინო დახმარების სამსახური[22], სამაშველო სამსახური[23], მედიატორი[24], ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების ექსპერტიზის სამსახური[25], ქუჩის დასუფთავების სამსახური[26] და სხვ. აღნიშნულ შემთხვევებში კერძო პირების მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების უპირატესობა მდგომარეობს მათ უნარში ნაკლები დანახაჯებით და ეფექტურად შეასრულონ კონკრეტული ამოცანა, ვიდრე ეს სახელმწიფოს საკუთარი მენეჯმენტის ფარგლებში შეეძლებოდა.[27]

ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია ზიანის გამომწვევი ქმედება გამოხატებოდეს სხვა პირის

---

[19] იქვე.

[20] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

[21] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 6.

[22] BGH: Haftung für Behandlungsfehler eines Notarztes bei Rettungsdiensteinsatz (NJW 2005,429).

[23] BGH: Amtspflicht einer Kassenärztlichen Verinigung für Gewährleistung der Notarztversorgung in einem Gebiet aufgrund Sicherstellungsauftrags (NJW 1990,1526).

[24] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 7.

[25] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 7; BGH: Amtshaftung bei fehlerhafter Nachprüfung der Lufttüchtigkeit eines Luftfahrtgeräts, (NVwZ 2002, 375).

[26] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 7.

[27] *ტურავა პ.*, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016, გვ 117

მიმართ არსებული სამსახურეობრივი მოვალეობის დარღვევაში.[28] მესამე პირებს, რომელთა მიმართაც ირღვევა ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურეობრივი მოვალეობა, შესაძლებელია წარმოადგენდნენ სხვა საჯარო სამართლის სუბიექტებიც და აქ მხოლოდ კერძო პირები არ მოიაზრებიან. (მაგ: საკრებულოს სხდომის შეცდომით გამოწვეყნების ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში.)[29]

იმის დასადგენად დაირღვა თუ არა მესამე პირების მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს სამსახურეობრივი მოვალეობები უნდა გაირკვეს რომელ კონკრეტულ პირებს იცავს ხელყოფილი ნორმა და ამ პირების რომელი საგნობრივი ინტერესები ექცევა მისი დაცვის სფეროში.[30] რაც შეეხება კონკრეტულად პასუხისმგებელი სუბიექტის გამოვლენას, ამისათვის უნდა დადგინდეს რომელი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებამ გამოიწვია ზიანის. მაგალითად, თუ ზიანი გამოწვეულია უკანონო ბრალდების შედეგად პირისათვის პატიმრობის შეფარდებით, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბრალდების მხარეს, რომელმაც დაუსაბუთებლად, არასაკმარისი მტკიცებულებების პირობეში მოითხოვა ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება.[31] პატიმრობაში მყოფი პირის მიმოწერის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, რომელმაც დაარღვია თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი უფლებები[32] და ა.შ.

---

[28] *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 213.

[29] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 12.

[30] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 13.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება.

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის Nბს-269-269(3კ-18) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბერი Nბს-661-646(2კ-14) გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის განმარტებას, აქ რაიმე განსხვავებული მიდგომა არ გამოიყენება. მართლწინააღმდეგობა გამოიხატება საჯარო მოხელისათვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევაში, ხოლო ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც განზრახ ან შეგნებულად, საკუთარი ნებით ან გაუფრთხილებლობით ლახავს კანონით დაცულ ფასეულობებს.[33] აქ საყურადღებოა მხოლოდ მცირე განსხვავება კერძო პირისა და ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას შორის. კერძოდ, ფიზიკური პირის ბრალეულობა დაკავშირებულია თავის სუბიექტურ დამოკიდებულებასთან, რაც ადმინისტრაციული ორგანოს შემთხვევაში ვლინდება იმ პირებისა და ორგანოების ბრალეულობაში, რომლებიც წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს.[34]

გამონაკლისების სახით საჯარო სამართალი იცნობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა გამოწვეულია კანონიერი ქმედებით.[35] აქ მოიზარება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა მაგალითად საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების უფლების შეზღუდვა/ექსპროპრიაცია.[36] მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო ეკისრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება მათთვის ვინც იძულებულია თავისი განსაკუთრებული უფლება და უპირატესობები საერთო კეთილდღეობისათვის დათმოს.[37]

---

[33] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 15; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება; *ტურავა პ.,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, 2016, გვ. 212.

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის Nბს-710-702(2კ-15) განჩინება.

[35] Sauer: Staatshaftungsrecht (JuS 2012, 695).

[36] Jauernig/*Teichmann* BGB §839 Rn 15; Sauer: Staatshaftungsrecht (JuS 2012, 695).

[37] Unterreitmeier: Aufopferungsentschädigung für immaterielle Nachteile (NVwZ 2018, 383).

II ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი

1. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სრულყოფილად გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ზოგადად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შინაარსისა და მისი სახეების განხილვა.

ზიანის არსის, მისი სახეებისა და მოცულობის განმსაზღვრელი სამართლის ნორმები მოცემულია სსკ-ის 408-415 მუხლებში და სამართლის დოქტრინაში არსებული შეხედულებით ზიანის ანაზღაურების სამართალს აყალიბებს.[38]

ზოგადად პრევენციული მნიშვნელობის გარდა, ზიანის ანაზღაურების ძირითადი ფუნქცია დაზარალებულისათვის მიყენებული დანაკლისის გამოსწორება და იმ მდგომარეობის აღდგენაა, რაც ზიანის წარმომშობი გარემოების გამორიცხვის შემთხვევაში იარსებებდა.[39] ზიანის ანაზღაურების ფუნქციას დამატებითი დატვირთვა აქვს არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში და დაზარალებული პირის მორალური დაკმაყოფილების ინტერესსაც მოიცავს.[40]

აღსანიშნავია, რომ ზიანის ანაზღაურების სამართალი ზიანის ცნების კონკრეტულ განმარტებას არ იძლევა.[41] რამდენადაც, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება დაზარალებული პირის

---

[38] *გ. რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408, ველი 1.

[39] BeckOK BGB/*Bearbeiter*, BGB § 249ff, Rn1; *გ. რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408, ველი 3.

[40] *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ. 101.

[41] *გ. რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408, ველი 8.

როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება,[42] შეგვიძლია ზიანის ცნება პირობითად ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ერთობლიობის სახით განვმარტოთ.

ზიანის წარმოშობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის კუთხით საინტერესოა არაქონებრივი ზიანის საკითხი, რომლის ფულადი სახით გამოხატავა და ქონებრივი ზიანის მსგავსად მათემატიკურად დაანგარიშებაც შეუძლებელია.[43] მიუხედავად იმისა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა თანაბრად მოიცავს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, არაქონებრივი ზიანი ყოველთვის ანაზღაურებას არ ექვემდებარება და ქონებრივისგან განსხვავებით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოითხოვება.[44]

2. არაქონებრივი ზიანი

2.1 ცნება

არაქონებრივი ზიანის ცნების ლეგალურ დეფინიციას ქართული სამოქალაქო სამართალი არ იძლევა, რის გამოც ამ ტერმინის განმარტება სასამართლო პრაქტიკამ და სამართლის თეორიამ ითავა. არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს არაქონებრივი სიკეთეებისთვის მიყენებულ ზიანს, რომელთა ღირებულების ფულადი სახით

[42] BeckOK BGB/*Bearbeiter*, BGB § 249ff, Rn 2.

[43] *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ. 98; *გ. რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408, ველი 12.

[44] *გ. რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408, ველი 13.

განსაზღვრა, ქონებრივი ზიანისაგან განსხვავებით, შეუძლებელია.[45] გამომდინარე აქედან, არაქონებრივი ზიანი ძირითადად წარმოიშობა, როდესაც: ა) ადამიანი სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგად სხეულებრივ ან სულიერ ტკივილს განიცდის და 2) ხელყოფილია ადამიანის პიროვნული უფლებები.[46] შესაბამისად, არაქონებრივ ზიანად განიხილება ადამიანის სხეულებრივი ან ფსიქიკური ხელშეუხებლობისა და ადამიანის პირადი უფლებების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანი, რომელიც იჭრება ადამიანის სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში და აზიანებს მათ.[47]

არაქონებრივი ზიანის მომწესრიგებელი ნორმა შედარებით ახალია ქართული სამართლისთვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობისთვის უცხო იყო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი.[48] გამომდინარე აქედან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამართლის ნორმები საქართველოს სამოქალაქო სამართალში პირველად საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გამოჩნდა.[49] სიტყვასიტყვით ეს ნორმა სსკ-ში წარმოდგენილია, როგორც „არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება“, თუმცა ქართული სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში არაქონებრივი ზიანის აღმნიშვნელ ტერმინად ხშირად გამოიყენება „მორალური ზიანი“.[50] არაქონებრივი ზიანის მსგავსი ტერმინით გამოხატვა არ ახასიათებს მხოლოდ ქართულ სამართალს. მაგალითად, ისევე როგორც სსკ-ში, გსკ-ში ანალოგიური ნორმის სათაური კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებულია, როგორც „არაქონებრივი ზიანი“,[51] თუმცა გერმანულ

---

[45] *Hirsch Christoph,* Schuldrecht Allg. Teil, Kap.11/Rn.1016; MüKoBGB/*Oetker* §249 Rn. 28.

[46] OLG Naumburg Beschl. v. 10.12.2010 – 1 W 57/10, BeckRS 2011, 17581.

[47] *Hirsch Christoph,* Schuldrecht Allg. Teil, Kap.11/Rn.1017; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 სექტემბრის N2ბ/1713-15 გადაწყვეტილება.

[48] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ.13-14.

[49] იქვე.

[50] *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 469.

[51] NK-BGB/*Huber* §253, Rn1.

სამოქალაქო სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში არაქონებრივი ზიანის გამოსახატად ხშირად გამოიყენება ტერმინი „Schmerzensgeld“. ეს უკანასკნელი ქართულად ითარგმნება როგორც „ტკივილის ფული“.[52] არაქონებრივი ზიანის აღნიშნული სახით კანონის ტექსტში ფორმულირებაზე გერმანელმა კანონმდებელმა უარი თქვა, ვინაიდან ამ ტერმინის გამოყენების შემთხვევაში ადამიანის სხეულის, ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეულ ზიანზე კეთდება აქცენტი და იკარგება ამ ინსტიტუტის სრული სპექტრის აღქმის შესაძლებლობა.[53]

2.2 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმა მოცემულია სსკ-ის 413-ე მუხლში და წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნორმას, რომელიც ადგენს რა შემთხვევებში, რა სახით და მოცულობით არის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელი.[54]

სსკ-ის 413-ე მუხლის სათაური კანონის ტექსტში მოცემულია - „ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის“ სახით და ნორმა შედგება შემდეგი ორი ნაწილისგან:

“(1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

(2) სხეული დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.“

---

[52] NK-BGB/*Huber* §253, Rn1.

[53] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 4.

[54] Palandt/*Grüneberg*, Vorb v §249, Rn. 1.; *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 471.

ეს ნორმა თავის მხრივ სამართლებრივ საფუძველს არ წარმოშობს რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა კანონიერი მოთხოვნის ჩამოყალიბდება. მისი მეშვეობით მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობის ფარგლები დგინდება.[55]

რამდენადაც სსკ-ის 413-ე მუხლი ზოგად ნორმას წარმოადგენს, მისი მოქმედება ვრცელდება ყველა შემთხვევაზე სადაც ხელყოფილია ნორმით დაცული ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე მაინც და საკითხის გადაწყვეტისათვის არარელევანტურია თუ რომელი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ნორმის დისპოზიცია (დელიქტი, ხელშეკრულება და სხვ.) იქნა ხელმყოფის მიერ ასრულებული.[56] შესაბამისად, დაზარალებული უფლებამოსილია მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება თუნდაც იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანი გამოწვეულია ხელშეკრულების დარღვევით ან წარმოშობილია ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან.[57]

2.3 არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვა - სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის არსი მდგომარეობს ზოგადად არაქონებრივი ზიანის შემთხვევებში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის გამორიცხვაში, ვინაიდან ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა ძირითადად

---

[55] BeckOK BGB/*Johannes W. Flume*, BGB § 249, Rn. 1; Palandt/*Grüneberg*, Vorb v §249, Rn. 1.

[56] *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 471; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება; Staudinger/Schiemann (2005) §253 Rn. 20; *Benz/Sieger* (Schmerzensgeld im Verkehrsunfallprozess, in:) SVR 2007, 321 S. 335

[57] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ.88; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

მაინც დაკავშირებულია და წარმოიშობა ქონებრივი ზიანის შემთხვევებში.[58]

არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში შეუძლებელია მიყენებული ზარალის ფულადი სახით ობიექტურად გამოსახვა და იმისათვის, რომ არ მოხდეს ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის დაუსაბუთებლად ხშირი გამოყენება და შენარჩუნდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბიულურობა, ეს ნორმა ადგენს გარკვეულ საზღვრებს და მოთხოვნის უფლებას გამონაკლისის სახით უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისთვის.[59]

ამასთან შემოთავაზებული რეგულირებით კანონმდებელმა ერთგვარი ზღვარი გაავლო ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს შორის.[60]

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებულ „კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“ არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალქო სამართლებრივი ნორმატიული აქტები, არამედ შესაძლებელია არაქონებრვი ზიანისათვის გამონაკლისის სახით ფულად ანაზღაურებას ადგენდეს ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმატიული აქტი.[61]

---

[58] *Wandt* Ges. Schuldverhältnisse §253 Rn. 38.

[59] *Wandt* Ges. Schuldverhältnisse §253 Rn. 38; *Kürschner*, (Schmerzensgeld bei Gefährdungshaftung, in:) NZV 1995, 1 S. 7-8; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

[60] *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 470.

[61] *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 470.

2.4 მორალური ზიანი - სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი

2.4.1 ზოგადად ნორმის შესახებ

ვინაიდან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს საქრთველოს სამოქალაქო სამართალი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ სცნობდა[62], ამ ნორმას ღრმა ფესვები ქართული სამართლის თეორიაში არ აქვს და მის განვითარებაზე პასუხისმგებლობა სამართლის თეორიასთან ერთად სასამართლო პრაქტიკამაც იტვირთა.

ქართულ სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში არაქონებრივი ზიანი მოიხსენიება ასევე, როგორც „მორალური ზიანი“.[63] შინაარსობრივად მორალური ზიანი წარმოადგენს ზიანს, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას ადგება და რომელსაც ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია.[64]

თსს-ს განმარტების თანახმად, მორალური ზიანი წარმოადგენს ზიანის სახეს, რომელიც ხელყოფს ადამიანის სულიერ გრძნობებსა და კავშირებს და ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს მასში. აღნიშნული ხელყოფა ქონებრივ ზიანთან ერთად არაქონებრივი უფლებების შელახვასა და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.[65]

2.4.2 ნორმის მიზანი და ფუნქცია

სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფისას მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებას გათანაბრების (გაწონასწორების),

---

[62] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ.13-14.

[63] *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 469.

[64] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ.18.

[65] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 სექტემბრის N2ბ/1713-15 გადაწყვეტილება.

დაზარალებულის მორალური დაკმაყოფილებისა და პრევენციის ფუნქციები აკისრია.[66]

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ძირითად ფუნქციად თავდაპირველად გათანაბრების (გაწონასწორების) ფუნქცია განიხილებოდა, თუმცა სასამართლომ მოგვიანებით განავრცო არსებული განმარტებები და დაადგინა, რომ არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება არამხოლოდ გათანაბრების მიზანს ემსახურება, არამედ მან დაზარალებულში მორალური დაკმაყოფილების განცდაც უნდა გამოიწვიოს.[67] არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრევენციულ ფუნქციაზე სასამართლო ძირითადად პირადი უფლებების ხელყოფის შემთხვევებში საუბრობს.[68]

განსხვავება რაც გათანაბრებისა და მორალური დაკმაყოფილების ფუნქციებს ერთმანეთისაგან არსებითად განაცალკევებს არის ხელმყოფისა და დაზარალებულის პოზიციები ზიანის ანაზღაურების პროცესში. კერძოდ, გათანაბრების ფუქნციისათვის წინა პლანზეა ხელმყოფის როლი, რომელმაც მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაუროს. ხოლო მორალური დაკმაყოფილების ფუნქციის განხორციელებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო დაზარალებულის პიროვნებაა, რომლის არაქონებრივი სიკეთეების შელახვაც მოხდა.[69] დაზარალებულმა მორალური კომპენსაცია უნდა მიიღოს იმ ზიანის სანაცვლოდ, რაც მან საკუთარი სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგად განიცადა.[70] მორალური დაკმაყოფილების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განზრახი ქმედებითა და უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ხელყოფის შემთხვევებში, ვინაიდან ამ დროს ხელმყოფის ქმედება მძიმე

---

[66] Palandt/*Grüneberg*, §253 Rn. 4; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 02 ივლისის N2ბ/805-13 განჩინება.

[67] Soergel/Arnold §253 Rn 10; PWW/*Luckey* §253 Rn. 11-12.

[68] Soergel/Arnold §253 Rn 11; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 02 ივლისის N2ბ/805-13 განჩინება.

[69] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn 11; Soergel/Arnold §253 Rn 10; Palandt/*Grüneberg*, §253 Rn. 4.

[70] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn 11; Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 4.

ზეგავლენას ახდენს დაზარალებულის სულიერ განცდებზე. ეს კი თავის მხრივ შესაბამისი კომპენსირების საჭიროებას წარმოშობს.[71]

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი არის იმ ტკივილისა და ტანჯვის შემსუბუქება, რასაც დაზარალებული ხელყოფის შედეგად განიცდის. კომპენსაცია აქ მიმართულია განცდილი ნეგატიური ემოციებისა და მიყენებული ზიანის გამოთანაბრებისკენ.[72] ფულადმა ანაზღაურებამ უნდა გაათანაბროს ზემოაღნიშნული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი ზარალი, რაც აისახა დაზარალებულის კეთილდღეობაზე.[73] არაქონებრივი ზიანისათვის ფულადმა კომპენსაციამ დაზარალებულს უნდა დაუბრუნოს სიცოცხლის ხალისი და უზრუნველყოს ისეთი ცხოვრებისეული სიკეთეებით რაც მას განცდილ ტკივილსა და ტანჯვას ნაწილობრივ მაინც დაუბალანსებს.[74]

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი ვერ იქნება სრული რესტიტუცია, ვინაიდან მიყენებულ ზიანს მსგავს შემთხვევებში ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული ანაზღაურება.[75]

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ფულადი ანაზღაურების ასეთი გამოკვეთილი მიზნობრიობისა, დაზარალებული უფლებამოსილია საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს მიღებული ფული.[76]

2.4.3 მოთხოვნის წინაპირობები

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მორალური ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ

---

[71] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 4; PWW/*Luckey* §253, Rn 12; Soergel/Arnold §253 Rn 10.

[72] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 იანვრის N2ბ/7243-15 განჩინება.

[73] PWW/*Luckey* §253 Rn. 11; *Wandt* Ges. Schuldverhältnisse §253 Rn. 44.

[74] Soergel/Arnold §253 Rn. 10; Wandt Rn44; PWW/*Luckey* §253 Rn. 11; Palandt/*Grüneberg*, §253 Rn. 2.

[75] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 02 ივლისის N2ბ/805-13 განჩინება.

[76] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 10.

კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სწორედ ერთ-ერთ კანონით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევას აწესრიგებს ამავე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას ადამინიას სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება წარმოადგენს.

სუს-ს განმარტების თანახმად, სხეულის ხელყოფა და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება სახეზეა თუ ხელყოფა დაზარალებულის პიროვნებაში არასრულფასოვნების განცდას ან შრომისუნარიანობის შემცირებას იწვევს.[77] ამ სამართლერივი სიკეთეების ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანი შესაძლოა სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანდმევ შედეგსაც წარმოადგენდეს. მაგალითად უშედეგო მკურნალობით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობელემების შემთხვევაში, რაც დაზარალებულის სულიერ ტანჯვას იწვევს.[78]

სხეულისთვის ზიანის მიყენება წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის მატარებელი სუბიექტის სხეულებრივი ხელშეუხებლობისა და მთლიანობის სფეროში ჩარევას მისი ნების საწინააღმდეგოდ.[79] სხეულებრივი მთლიანობის ნებისმიერი ხელყოფა, მიუხედავად იმისა გამოიწვია თუ არა ჯანმრთელობის დაზიანება, წარმოადგენს სხეულისთვის ზიანის მიყენებას.[80] მაგალითად სხეულებრვი ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფასა და სხეულისთვის ზიანის მიყენებას წარმოადგენს სახეში სილის გაწვნა ან თუნდაც შეფურთხება.[81] ასევე სხეულისთვის ზიანის მიყენებაა თმების შეჭრა, სქესობრივი აქტის

---

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება;

[78] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება;

[79] BGH, Urteil vom 17.09.2013, VI ZR 95/13.

[80] NK-BGB/*Huber* §253 Rn. 41.

[81] *Neuner*, (das Schmerzensgeld, in:) JuS 2013, 577, S.580.

იძულება, ტატუირების გაკეთება დაზარალებულის ნებართვის გარეშე და სხვ.[82]

სხეულისთვის ზიანის მიყენებად განიხილება ლაბორატორიულად შენახული სპერმის განადგურება, ვინაიდან იგულისხმება, რომ იგი სხეულის ნაწილია, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია სხეულისთვის დამახასიათებელი ფუნქციის შესრულება.[83] ადამიანის სხეულებრივი მთლიანობა ირღვევა ასევე მისთვის აივ- ან სხვა სახის ინფექციის შეყრით.[84]

სასამართლო პრაქტიკის თანახმად სხეულისთვის ზიანის მიყენება სახეზეა ასევე არასასურველი ორსულობისა და შვილის გაჩენის შემთხვევაში.[85] აქ არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მიზანი დედისთვის თავისი ნების საწინააღმდეგო ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შედეგად წარმოშობილი ტვირთის შემსუბუქებაა.[86]

რთულია ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების სხეულის ხელყოფისაგან ცალსახად გამიჯვნა, ვინაიდან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება წარმოადგენს სხეულის გარეგან ხელყოფას რომელიც ამავდროულად ცხოვრების შინაგანი რიტმის დარღვევას იწვევს.[87] ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის ერთობას, რომლის ხელყოფაც ამ მდგომარეობის დაკარგვას იწვევს.[88]

ჯანმრთელობის დაზიანებად განიხილება სხეულის ნორმალური ფუნქციონირების შემაფერხებელი მდგომარეობის გამოწვევა ან გაუარესება. აქ ნაკლებად რელევანტურია დაზიანების შედეგად პირმა ფიზიკური ტკივილები განიცადა თუ ხელყოფილია მისი სულიერი

---

[82] MüKoBGB/ *Wagner* §823 Rn. 173 ff.

[83] NK-BGB/*Huber* §253 Rn. 55.

[84] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 11; BeckOK BGB/*Spindler*, BGB § 249, Rn. 22.

[85] BeckOK BGB/*Spindler*, BGB § 249, Rn. 23.

[86] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 22.

[87] MüKoBGB/ *Wagner* §823, Rn 173.

[88] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998 , გვ.114.

მდგომარეობა.[89] ჯანმრთელობისთვის მიყენებულ მნიშვნელოვან ზიანად განიხილება მაგალითად ადამიანის ხუთი გრძნობის უნარიდან ერთ-ერთის დაკარგვა ან შემცირება, შრომისუნარიანობის დაკარგვა ან სხეულის დამახინჯება. ხელყოფით გამოწვეული ზიანის ხარისხი უნდა დადგინდეს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე.[90]

ჯანმრთელობის დაზიანებებს განეკუთვნება აგრეთვე ყველა სახის ფსიქიკური აშლილობა.[91] ფსიქიკური აშლილობის სახით გამოვლენილი ჯანმრთელობის დაზიანების ავადმყოფური მდგომარეობის გამოსახატად სასამართლო პრაქტიკა ტერმინ „შოკის შედეგად გამოწვეულ ზიანს" იყენებს.[92]

ემოციური შოკის შედეგად ფსიქიკური ზიანი ადგებათ უბედური შემთხვევის უშუალო მონაწილეებს ან მესამე პირებს, რომელთა ახლობელი ადამიანებიც ამ უბედური შემთხვევის შედეგად დაზიანდებიან ან გარდაიცვლებიან.[93] აღნიშნული ტრამვით გამოწვეული დეპრესია ან პოსტტრამვატული ფსიქიკური აშლილობები ჯანმრთელობის დაზიანებად განიხილებიან მხოლოდ მაშინ თუ ისინი ავადმყოფობის ხარისხს აღწევენ.[94]

ფსიქიკური ხელყოფის ნაწილში, ხელმყოფი პასუხს აგებს ასევე ჯანმრთელობის პრობლემებით დაბადებული ახალშობილისთვის დელიქტური მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის თუ დადგინდება, რომ ახალშობილის ჯანმრთელობის პრობლემები გამოწვეულია მუცლად ყოფნის დროს ხელმყოფის მიერ დედისთვის მიყენებული ფსიქიკური ტრამვის შედეგად.[95]

---

[89] BeckOK BGB/*Förster*, BGB § 823 Rn. 110.

[90] MüKoBGB/*Wagner* §823, Rn 177ff.; *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998 , გვ.115.

[91] MüKoBGB/*Wagner* §823, Rn 178.

[92] *Zwickel*, (Schockschaden und Angehörigenschmerzensgeld, in:) NZV 2015, 209, S.215.

[93] BGH, Urteil vom 05.02.1985 – VI ZR 198/83, in: NJW 1985, 1390.

[94] MüKoBGB/*Wagner* §823, Rn 186.

[95] BGH, Urteil vom 05.02.1985 – VI ZR 198/83, in: NJW 1985, 1390.

საინტერესოა, რომ არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების საფუძვლად სასამართლო არ განიხილავს შინაური ცხოველების დაზიანების შედეგად მეპატრონისათვის მიყენებულ ფსიქიკურ ზიანს. მეპატრონისა და ცხოველის მიერ განცდილი ტკივილები და შიშები არ ასაბუთებს ფულადი სახით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.[96]

თანამედროვე სამყაროში აქტუალობა შეიძინა ფსიქიკური ზემოქმედების ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა ე.წ „მობინგი“ და „სტალკინგი“.[97] მობინგად განიხილება დამსაქმებლის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის საშუალებით დასაქმებულების მიმართ სისტემატიური მტრობა, ბოროტგანზრახული წვალება, აბუჩად აგდება ან დისკრიმინაცია.[98] სტალკინგი წარმოადგენს სისტემატიურ თვალთვალს და არასასურველ კომუნიკაციას, რაც მსხვერპლის ფსიქიკას აზიანებს.[99] მობინგის ან სტალკინგის მსხვერპლ პირებს წარმოეშობათ არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ამ ქმედებების შედეგად მათ არსებითი ფსიქიკური ზიანი მიადგათ. ეს შესაძლოა ხშირი უძილობით ან სხვა სახის დეპრესიული გამოვლინებებით გამოიხატოს. იმ შემთხვევაში თუ მობინგითა და სტალკინგით მიყენებული ზიანი ჯანმრთელობის ხელყოფის აღნიშნულ სტანდარტს ვერ დააკმაყოფილებს, დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ადამიანის პირად უფლებებზე დაყრდნობით.[100]

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია ასევე ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზეც წარმოიშვას, თუ ამით ხელშეკრულების მხარეს ფსიქიკური ზიანი მიადგება.[101]

---

[96] OLG Köln, Urteil vom 20.03.2012, VI ZR 114/11, in: NJW 2012, 1730.

[97] MüKoBGB/ *Wagner* §823, Rn 185.

[98] BAG, Beschluss vom 15.01.1997, 7 ABR 14/96.

[99] *Keiser,* (Schadenersatz bei Stalking, in:) NJW 2007, 3377, S.3388.

[100] MüKoBGB/ *Wagner* §823, Rn 185; *Keiser,* (Schadenersatz bei Stalking, in:) NJW 2007, 3377.

[101] MüKoBGB/*Oetker* §253, Rn 22.

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის დროს. მსგავს შემთხვევებში მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ გარდაცვლილის ნათესავებს, რომელთაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობით ფსიქიკური ტრამვა მიადგათ და ამან მათი ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება გამოიწვია.[102]

სხეულის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთაც დაზარალებულის კეთილდღეობაზე მდგრადი ზეგავლენა არ აქვთ და მხოლოდ მოკლევადიან, არაარსებით ზიანს იწვევენ, არ განიხილება არაქონებრივ ზიანად რომლისთვისაც ფულადი ანაზღაურება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.[103] არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას არ წარმოშობს ასევე მსუბუქი ხასიათის სულიერი განცდები და ფსიქიკური ტკივილები.[104]

2.4.4 არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა და ანაზღაურების ფორმები

2.4.4.1 ფულადი ანაზღაურების ოდენობის დადგენა

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ფულადი ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის უნდა პასუხობდეს გონივრულობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობა უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ, ქმედების ყველა რელევანტური ასპექტის გათვალისწინებით, თავისუფალი განსჯის შედეგად და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.[105]

---

[102] Palandt/*Grüneberg*, §253 Rn. 11; NK-BGB/*Huber* §253, Rn 41.
[103] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 14; Soergel/Arnold §253 Rn 26.
[104] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ. 89.
[105] MüKoBGB/*Oetker* §253, Rn. 36.

ანაზღაურების ოდენობის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმები ზიანის ხასიათი და სიმძმეა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და სულიერი ტანჯვა გამოიწვია. განცდილი ტკივილებისა და ტანჯვის ხასიათი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. ესენია უპირველესად ქმედების ობიექტური გარემოებები, ორივე მხარის პიროვნული მახასიათებლები, დაზარალებულის თანაბრალეულობა, ხელმყოფის ქონებრივი მდგომარეობა და შემთხვევიდან გამომდინარე სხვა კონკრეტული მახასიათებლები.[106] ხელმყოფის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ფულადი ანაზღაურების დაკისრების ეტაპზე, სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა ისე უნდა განსაზღვროს, რომ ამით ხელმყოფისა და მისი ოჯახის საარსებო მინიმუმის გარეშე დატოვება არ გამოიწვიოს.[107]

პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარება, სადაც არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საკითხში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ე.წ. „Schmerzensgeldtabelle“-მ. ეს არის მსგავს დაზიანებებთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრებული და გამოიყენება როგორც დამხმარე სახელმძღვანელო არაქონებრივი ზიანისათვის სათანადო ფულადი ანაზღაურების ოდენობის დადგენისათვის.[108] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების ოდენობის დადგენის ეტაპზე სასამართლო ითვალისწინებს სასამართლო პრაქტიკას და გადაწყვეტილებას იღებს მსგავს საქმეებზე მხარეთათვის უკვე დაკისრებული ფულადი ანაზღაურების ოდენობების გათვალისწინებით.[109]

განსაკუთრებით მრავლისმომცველი კრებულები არის *Hacks/Wellner/Häcker* და von *Slizyk*-ის მიერ გამოცემული ტაბელები,

---

[106] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 02 ივლისის N2ბ/805-13 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 იანვრის N2ბ/7243-15 განჩინება; BGHZ, Beschluss vom 06.07.1955, GSZ 1/55.

[107] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ. 90.

[108] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn. 15; MüKoBGB/*Oetker* §253, Rn. 37.

[109] MüKoBGB/*Oetker* §253, Rn. 37; Palandt/*Grüneberg*, §253, Rn. 15.

სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი თუ რა თანხის ფარგლებში დაუკისრებია სასამართლოს ფულადი ანაზღაურება ყველა ისეთი კონკრეტული დაზიანებებისათვის, როგორიცაა მაგალითად თითის, თვალის, ცხვირის, ხერხემლის დაზიანებები და სხვ.[110] აღნიშნული ტაბელების დახმარებით ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა წინასწარ იცოდეს დაახლოებით რა თანხის ფარგლებში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება. ეს მიდგომა ძირითადად გამოიყენება ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, ვინაიდან თავისუფლებისა და პირადი უფლებების ხელყოფისას ზიანის ხარისხის დადგენა გაცილებით ინდივიდუალურია და სასამართლო პრაქტიკაზე ცალსახად დაყრდნობა შეუძლებელია.[111]

ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშნელოვანია, რომ სასამართლომ გაითვალისწინოს ხელმყოფსა და დაზარალებულ პირთან დაკავშირებული ყველა გარემოება. დაზარალებულის შემთხვევაში სასამართლომ დაზიანების ხარისხთან ერთად უნდა გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ დაზიანების თანმდევი შედეგები. ისეთი დაზიანებების შემთხვევაში, რომლებიც ხანგრძლივ რეაბილიტაციას საჭიროებენ ან მთელი სიცოცხლის მანძილზე ტოვებენ კვალს, ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დაზარალებულის ასაკიც.[112] ფულადი ანაზღაურების ოდენობის ზრდას იწვევს ასევე თუ ხელყოფის შედეგად დაზარალებულს ხანგრძლივად შეეზღუდება თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ან სრულად დაკარგავს მას.[113]

ფულადი ანაზღაურების ოდენობის ზრდას განაპირობებს აგრეთვე ისეთი ხელყოფა, რაც გავლენას ახდენს დაზარალებულის ახლო პიროვნულ

---

[110] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 37.
[111] MüKoBGB/*Oetker* §253, Rn. 37.
[112] NK-BGB/*Huber* §253, Rn. 93ff.
[113] NK-BGB/*Huber* §253, Rn. 100.

ურთიერთობებზე ან სქესობრივ ცხოვრებაზე და მის სრულ დაკარგვას ან დაზიანებას იწვევს.[114]

რაც შეეხება სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ პირთან დაკავშირებული გარემოებების შეფასებას, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს, არის მისი ბრალეულობის ხარისხი.[115] ხელმყოფის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებულ ქმედებას მივყავართ ფულადი ანაზღაურების ოდენობის ზრდამდე. საპირისპიროდ, ფულადი ანაზღაურების ოდენობის შემცირებას იწვევს მსუბუქი ხასიათის დაუდევრობით გამოწვეული ხელყოფა.[116]

რაც შეეხება დაზარალებულის თანაბრალეულობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საკითხს, დაზარალებულის თანაბრალეულობა არ გამორიცხავს ხელმყოფის პასუხისმგებლობას, თუმცა ეს ამცირებს ფულადი ანაზღაურების ოდენობას.[117]

2.4.4.2 ანაზღაურების ფორმები

არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება ფულადი კომპენსაციის ფორმით უნდა გაიცეს, თუმცა ქართულ სამართლის თეორიაში განვრცობილი არ არის ამ თანხის გადახდა რა ფორმით უნდა მოხდეს, მაგალითად გადანაწილდეს გარკვეულ პერიოდზე, ერთჯერადად მოხდეს ანაზღაურება თუ სხვ.[118] აღნიშნული საკითხის მოწესრიგება ითავა სასამართლომ და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით ხელმყოფს შესაძლებელია

---

[114] NK-BGB/*Huber* §253, Rn. 101.

[115] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn. 17.

[116] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 48.

[117] Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 20; MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 46.

[118] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ. 88.

დაეკისროს ერთჯერადი ფულადი თანხის, პენსიის ან ორივეს კომბინირებულად გადახდის ვალდებულება.[119]

ძირითადად გამოიყენება ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია, რომლის ოდენობაც ჯამურად განისაზღვრება ზიანით გამოწვეული, არსებული და სამომავლო შედეგების გათვალისწინებით.[120] სასამართლოს განმარტებების თანახმად, რამდენადაც არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა ერთიან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, ანაზღაურების ოდენობის დროის ცალკეული მონაკვეთების მიხედვით განსაზღვრა ზოგადად დაუშვებელია.[121] გამონაკლისის სახით დასაშვებია ნაწილობრივი სარჩელის აღძვრა თუ წინასწარ შეუძლებელია ზიანის განვითარების ზუსტი პროგნოზირება.[122]

ხელყოფის შედეგად მიყენებული მძიმე და ხანგრძლივად დენადი ზიანის შემთხვევებში, დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია ხელმყოფს პენსიის ხდა დააკისროს.[123] პენსია სათანადო ანაზღაურების ფორმაა ისეთი დაზიანებების შემთხვევაში, რომელთაც ხანგრძლივი ტკივილები, სხეულის ნაწილების ფუნქციის დაკარგვა, სხეულის დამახინჯება, განუკურნებელი სენით ინფიცირება ან სხვა ხანგრძლივად დენადი ზიანი მოყვება.[124]

საყურადღებოა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია ქვეყანაში ცხოვრების ხარისხის ინდექსზე და იგი შეიძლება შეიცვალოს ინდექსის მატების საფუძველზე, თუ ცალკეული შემთხვევის ყოველმხრივი შეფასების შედეგად დადგინდება, რომ ადრე დაკისრებული პენსიის ოდენობა ვეღარ ასრულებს სამართლიანი ანაზღაურების ფუნქციას. როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება ცხოვრების ხარისხის ინდექსის 25%-მდე

---

[119] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 56; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის Nას-889-839-2015 განჩინება.

[120] Soergel/Arnold §253 Rn 28; MüKoBGB/*Oetker* §253 Rn. 60.

[121] OLG Düsseldorf, Urteil vom 05.05.2000, 22 U 148/99.

[122] OLG Saarbrücken, Urteil vom 7.6.2011, 4 U 451/10 – 136.

[123] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn 57ff.; Palandt/*Grüneberg*, §253, Rn 21.

[124] *Jahnke,* (Schadenrechtliche Aspekte der Schmerzensgeldrente, in:) r+s 2006, 221 S. 229.

ცვლილება, თუ დამატებით ისეთი გარემოებები არ იკვეთება, რაც პენსიის გაზრდის მოთხოვნას სამართლიანს ხდის.[125]

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამოიყენება ერთჯერადი ფულადი ანაზღაურებისა და პენსიის კომბინაცია.[126] ეს კომბინაცია ძირითადად გამოიყენება ისეთ ზიანთან მიმართებაში, რომლის გაზომვადი შედეგი სარჩელის განხილვის პროცესში სახეზეა და ამ ზიანისთვის დაზარალებული ერთჯერად ფულად კომპენსაციას იღებს, თუმცა ამავდროულად მოსალოდნელია ხანგრძლივი ან სამუდამოდ განგრძობადი თანმდევი ზიანი, რისთვისაც ხელმყოფს დამატებით პენსიის გადახდაც ეკისრება.[127]

2.4.5 მოთხოვნის ხანდაზმულობა

მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ხანდაზმულობის ვადასთანაა დაკავშირებული პირის სამართლებრივი შესაძლებლობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით მოითხოვოს თავისი უფლების რეალიზება.[128] შესაბამისად, ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკული მნიშვნელობისაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების რეალიზებისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, მორალური ზიანის დადგომა არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფაქტებთან, თუნდაც ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელების მომენტთან. არაქონებრივი ზიანი დაზარალებული პირის სულიერ სამყაროსთან, ემოციებთან და განცდებთან არის დაკავშირებული და ამ შემთხვევებში

[125] BGH, Urteil vom 15.5.2007, VI ZR 150/06; Soergel/Arnold §253 Rn 31.
[126] Soergel/Arnold §253 Rn 32.
[127] MüKoBGB/*Oetker* §253 Rn 59; Soergel/Arnold §253 Rn 32.
[128] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის Nბს-710-702(2კ-15) განჩინება.

რთულია ზიანის წარმოშობის კონკრეტული დროის პროგნოზირება.[129] შესაბამისად, შეუძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებაზე გავრცელდეს საერთო, ზოგადი ხანდაზმულობის ვადები. აქ ხანდაზმულობის ვადის საკითხი კონკრეტული მოთხოვნის და იმ ნორმის არსიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს, რომლის დისპოზიციის ასრულებაც საფუძვლად ედება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.[130]

III არაქონებრივი ზიანისათვის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცალკეული ნორმატიული საფუძვლები

1. ზოგადი

სსკ-ის 413-ე მუხლი, როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ვალდებულებითსამართლებრივი ნორმა, გამორიცხავს არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით კომპენსირების შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.[131] არაქონებრივი ზიანისათვის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცალკეული ნორმატიული საფუძვლები გათვალისწინებულია არაერთი საკანომდებლო აქტით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყოველ მათგანში კონკრეტულად არის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე მითითებული.[132] აღნიშნულ ჭრილში

---

[129] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 08 აპრილის Nბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება.

[130] *ჯორბენაძე ს.,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 18, ველი 120-122.

[131] Palandt/*Grüneberg*, Vorb v §249, Rn. 1; *Wandt* Ges. Schuldverhältnisse §253 Rn. 38; *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 471.

[132] აქ იგულისხმება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კონსტიტუციის 13 და 18 მუხლებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და მე-17 მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, სისხლის

საკითხის სრულყოფილად განხილვისათვის საინტერესოა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხსიმგებლობის დამაფუძნებელი ისეთი შემთხვევების განხილვა, როდესაც არაქონებრივი ზიანი უკავშირდება უკანონო პატიმრობას, დისკრიმინაციას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვას და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის განხილვის ვადების დარღვევის საკითხი იმსახურებს, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების გონივრულ ვადებში ჩატარების ვალდებულების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირება სიახლეს წარმოადგენს ქართულ კანონმდებლობაში და საჭიროებს როგორც დოტრინალურად ისე სამოსამართლეო პრაქტიკით სათანადოდ გააზრებას. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ თავში მითითებული ინსტიტუტის განხილვას დაეთმობა.

2. უკანონო პატიმრობა

უკანონო პატიმრობასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ კონვენციით აღირებულ უფლებათა დარღვევით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად გარანტირებულია კომპენსაციის მიღების უფლება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე პირს აქვს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებითა თუ უკანონო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ

სამართლის კოდექსის 92-ე მუხლით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევები.

მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო.

წინამდებარე საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები, რომლებიც ადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას, არ შეიცავენ კონკრეტულ მითითებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე. მიუხედავად ამისა, ამ ნორმების დისპოზიციით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ევროსასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები აღიარებენ დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება.[133]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებების თანახმად, სსსკ-ის 92-ე მუხლი, როგორც ზოგადი ხასიათის ნორმა, სახელმწიფოს აკისრებს უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირისათვის იმის სამართლებრივი შესაძლებლობის შექმნის ვალდებულებას, რომ დაზარალებულმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.[134]

---

[133] ECHR, 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Janiashvili v. Georgia.* (საჩივრის ნომერი: 35887/05); ECHR, 2007 წლის 06 ნოემბრის განჩინება საქმეზე - *Fatsuria v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 30779/04); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის Nბს-269-269(3კ-18) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-656-631(2კ-13) გადაწყვეტილება.

[134] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-656-631(2კ-13) გადაწყვეტილება.

პირის უკანონოდ დაკავების ან პატიმრობის შემთხვევა კი უშუალოდ დაკავშირებულია არაქონებრივი ზიანის წარმოშობასთან და ამისათვის არ არსებობს კანონში პირდაპირი ჩანაწერის არსებობის აუცილებლობა.[135]

3. საჯარო ინფორმაციაზე უარი

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს დაზარალებულს ასევე სზაკ-ის 47-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად პირს აქვს უფლება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, მისი გასაიდუმლოების ან არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნის ან დამუშავების შემთხვევაში მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოსაგან.

ვინაიდან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება გამონაკლისების სახით არის კონკრეტული შემთხვევებისთვის განსაზღვრული, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კანონმდებლის განსაკუთრებული ყურადღება აიხსნება ინფორმაციის თავისუფლების, როგორც ერთ-ერთი ძირითადი უფლების კონსტიტუციური ხასიათით.[136] საჯარო ინფორმაციის ზედმეტი ჩარევის გარეშე ხელმისაწვდომობა პირდაპირ კავშირშია და გამომდინარეობს გამოხატვის თავისუფლების უფლებიდან.[137]

საქართველოს კანონმდებლობა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოებსა და პირებს ავალდებულებს შექმნან ინფრომაციის მიღების რეალური შესაძლებლობა და დაუსაბუთებლად არ თქვან უარი მათ გაცემაზე.[138]

---

[135] იქვე.; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ. 110.

[136] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 07 მარტის Nბს-687-680(კ-16) გადაწყვეტილება.

[137] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი.

[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 07 მარტის Nბს-687-680(კ-16) გადაწყვეტილება.

საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ გამონაკლისების სახით ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივ შესაძლებლობას, რამაც ასახვა ჰპოვა ასევე სზაკ-ში და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ლეგიტუმურ საფუძვლებად განისაზღვრა მოთხოვნილი ინფორმაციის სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებასა და პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულობა.[139]

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებშიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში შეტანილი 539 განცხადებიდან სრულყოფილი ინფორმაცია გაცემულ იქნა მხოლოდ 178 განცხადების პასუხად, ხოლო 261 განცხადებაზე უარის პასუხიც კი არ იქნა გაცემული.[140]

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დამკვიდრებული ასეთი პრაქტიკა ცალსახად არ არის ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის იმ სავალდებულო სტანდარტებთან თავსებადი, რასაც ადამინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი ადგენენ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ყველას ანიჭებს საჯარო ინფორმაციის მიღებაზე უარის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ფაქტობრივად შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკის მოძიება სადაც ამ საფუძვლით არის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოთხოვნილი. სავარაუდებელია, რომ სწორედ არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის სიმწირეა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საჯარო

---

[139] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი; სზაკ-ის 28-ე მუხლი.

[140] *მდინარაძე ა.,* კვლევა საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/opendata%20GE.pdf [20.06.2019წ. 23:40].

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი, რომლის გამოსწორებაც დაინტერესებული პირების მიერ ამ უფლების რეალიზების სურვილზეა დამოკიდებული.

4. დისკრიმინაცია

არაქონებრივი ზიანისათვის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტების პასუხსიმგებლობის დამაფუძნებელ ერთ-ერთ გამონაკლისს დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები წარმოდგენს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება და გარკვეული ნიშნის საფუძველზე იწვევს დაზარალებულის სხვა ანალოგიურ პირობებში მყოფ პირებთან შედარებით უთანასწოროდ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას.[141]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №12 ოქმის პირველი მუხლით პირდაპირ არის განსაზღვრული საჯარო ხელისუფლების ვალდებულება არ დაუშვას სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნის საფუძველზე ნებისმიერი პირის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა.[142] სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხში და მისი ვალდებულებაა ნებისმიერ პირს შეუქმნას ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა.[143]

---

[141] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის Nას-344-322-2017 გადაწყვეტილება;

[142] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №12, რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი.

[143] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის Nბს-864-860(კ-17) გადაწყვეტილება.

დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძვლით ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში საინტერესოა, რომ დაზარალებულის მტკიცების ტვირთი მხოლოდ მოპყრობის განსხვავებულობის დადასტურებით შემოიფარგლება და ადმინისტრაციულ ორგანოა ვალდებული ამტკიცოს აღნიშნულ განსხვავებას აქვს თუ არა ობიექტური და გონივრული გამართლება და დისკრიმინაციული ხასიათი.[144]

უკანონო პატიმრობისაგან განსხვავებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე პირდაპირაა მითითებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლში, რომელიც ნებისმიერ პირს ანიჭებს მორალურის ზიანის ანაზღაურების სასამართლოს წესით მოთხოვნის უფლებას. აქ ისევე როგორც საჯარო ინფორმაციასთან მიმართებით, კანონმდებელი პირდაპირ განსაზღვრავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას და სასამართლო პრაქტიკაც მდიდარია დისკრიმინაციული მოპყორბის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების დაკისრების შემთხვევებით.[145]

5. გაჭიანურებული ადმინისტრაციული წარმოება

ქართულ რეალობაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურება და გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადების დაუცველობა.[146] ეს საკითხი ახალი არ არის სამართლის ისტორიისათვის

---

[144] ECHR, 2014 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე - *Begheluri and Others v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 28490/02).

[145] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის N2ბ/5499-17 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის Nას-344-322-2017 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის Nბს-864-860(კ-17) გადაწყვეტილება; ECHR, 2014 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე - *Begheluri and Others v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 28490/02).

[146] სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს 2019 წლის 11 ივნისის N14/34739 წერილი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 11 ივნისის ელექტრონული წერილი; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული

და პროცესის გაჭიანურებისათვის ზიანის ანაზღაურების სავალდებულოობაზე მსჯელობა ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში დაიწყო.[147]

საქმეზე გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღება სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს და შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.[148] ადმინისტრაციული ორგანოების ზოგადი ვალდებულებაა გადაწყვეტილების ზედმეტი დროის დანაკარგის გარეშე, იმდენად მცირე დროში მიღება, რაც აუცილებელია მხოლოდ ამ გადაწყვეტილების დასაბუთებულობისათვის. ეს მოიაზრებს ასევე ისეთი პროცესუალური ქმედებებისაგან თავის შეკავებას, რაც გადაწყვეტილების მიღებას აყოვნებს და საკითხის გადაწყვეტისათვის რელევანტური არ არის.[149] აღნიშნული ვალდებულების არსებობა თავის მხრივ წარმოშობს მისი დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისთვის, მათ შორის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის, რეალური და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის საჭირობას.[150]

ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურებით მხარისათვის მიყენებულ არაქონებრივ ზიანზე მსჯელობისათვის, პირველ რიგში აუცილებელია მსგავს შემთხვევებში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნორმატიული საფუძვლების განხილვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის ერთიანი ვადა, რაც შეადგენს ერთ თვეს განცხადების წარდგენის მომენტიდან. ამავე

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2019 წლის 17 ივნისის N55-01191682209 წერილი.

[147] Reiter: Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer (NJW 2015, 2554).

[148] https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]

[149] https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]

[150] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998, გვ. 5.

მუხლის თანახმად, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი დრო, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია წარმოების ვადის მაქსიმუმ 3 თვემდე გაზრდა. ამავე კოდექსის 183-ე მუხლით განსაზღვრულია ასევე ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების ერთთვიანი ვადა. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის დამატებითი ვადის საჭიროების შემთხვევაში ეს ვადაც შესაძლებელია გაიზარდოს, თუმცა მხოლოდ ერთი თვით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მაქსიმუმ ორი თვე.

მითითებული ნორმები ადგენენ ადმინისტრაციული წარმოების სავალდებულო ვადებს, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხს ორგანული კანონი არ აწესრიგებს. განსაკუთრებით პრობლემურია და განმარტებას საჭიროებს ამ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლის წარმოშობისთვისაც სსკ-ის 413-ე მუხლი კანონში არსებულ პირდაპირ მითითებას ითხოვს.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად მოწესრიგდა კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის ძალაში შესვლით. საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის[151] საფუძველზე კონსტიტუციაში შესული ცვლილების შედეგად დამკვიდრდა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების პრინციპი. კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. ამასთან, ამავე მუხლის მე-4 ნაწილით ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ

[151] საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 - ვებგვერდი, 19.10.2017წ.

მიყნებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

გამომდინარე აქედან, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით კონსტიტუციური რანგის უფლებად ჩამოყალიბდა და ამავე მუხლით დადგინდა მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ აქ სახელობით არ არის მითითებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე, მოცემულ შემთხვევაში ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულება უნდა განიმარტოს ისევე, როგორც უკანონო თავისუფლების აღკვეთის ან პატიმრობის შემთხვევაშია სასამართლო პრაქტიკით დადგენილი[152] და ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისროს როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.[153] სრულ ანაზღაურებაზე ხაზგასმა (რასაც თავის მხრივ მოიცავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი)[154] და წარმოების გონივრულ ვადაში ჩატარების უფლების კონსტიტუციურ უფლებად აღიარება, კუმულაციურად მიუთითებს, რომ ამ ნორმის დაცვის სფეროში ექცევა არაქონებრივი სიკეთეებიც.[155]

---

[152] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის Nბს-269-269(3კ-18) გადაწყვეტილება; ECHR, 2007 წლის 06 ნოემბრის განჩინება საქმეზე - *Fatsuria v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 30779/04).

[153] Reiter: Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer (NJW 2015, 2554); Steinbeiß-Winkelmann/Sporrer: Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren (NJW 2014,177).

[154] *ხუბუა გ.,* მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კობა ყალიჩავა, თბილისი, 2018. გვ.135.

[155] *ჩიკვაშვილი შ.,* მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, 1998 , გვ.5; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ.97.

წარმოების დაწყებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდის შეუსაბამოდ გაჭიანურებამ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ პირს მატერიალურ ზიანთან ერთად შესაძლოა მიაყენოს არაქონებრივი ზიანიც, რაც გადაწყვეტილების დაყოვნებით გამოწვეულ ნეგატიურ განცდებში გამოიხატება.[156]

გაჭიანურებულ წარმოებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემის წარმოჩენის მიზნით, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურიდან, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-დან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შესული განცხადებების თაობაზე, რომლებთან მიმართებითაც დარღვეული იყო გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილი მაქსიმალური ვადები. ასევე მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია წარმოების გაჭიანურების გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 11 ივნისის ელექტრონული წერილის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შევიდა 1269 ადმინისტრაციული საჩივარი. აღნიშნული საჩივრებიდან 2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ 626 საქმეზე, ხოლო საქმეების 50%-ზე მეტის შემთხვევაში დარღვეული იქნა სზაკ-ით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადა. ადმინისტრაციულმა ორგანომ მოცემულ შემთხვევაში არ განმარტა რა იყო ვადების დარღვევის საფუძვლები.

---

[156] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 სექტემბრის N2ბ/1713-15 გადაწყვეტილება; Reiter: Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer (NJW 2015, 2554); Steinbeiß-Winkelmann/Sporrer: Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren (NJW 2014,177); BVerwG: Entschädigung wegen überlanger Verfahrensdauer (NVwZ-RR 2017, 635).

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2019 წლის 11 ივნისის N14/34739 წერილით მეცნობა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-მ სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დაფიქსირებული ზედდების გაუქმების თაობაზე სააგენტოს გადაუგზავნა 2638 კორესპონდენცია. აქედან საქმისწარმოება დასრულებულია მხოლოდ 2310 წერილზე, ხოლო 328 წერილთან მიმართებით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი მაქსიმალური ვადა. ვადების დარღვევას ადმინისტრაციული ორგანო საკითხების სირთულეს და გადაწყვეტილების მისაღებად თავისივე სისტემაში შექმნილი ერთ-ერთი კომისიის საქმიანობას უკავშირებს.[157]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2019 წლის 17 ივნისის N55-01191682209 წერილის თანახმად, ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ ჯამურად მიიღო 4615 მიმართვა სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით. აქედან 3820 განცხადებასთან დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ადმინისტრაციული წარმოების ვადების დარღვევის ძირითად მიზეზად აქაც საქმეების სიმრავლე და გაზრდილი მომართვიანობა სახელდება.

წარმოდგენილი მონაცემები ხაზს უსვამს ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებული საკითხის სიმწვავეს საქართველოში. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების მიზეზად ძირითადად სამსახურების გადატვირთულობა და საქმეების სიმრავლე სახელდება, თუმცა აღნიშნული გარემოება, ისევე როგორც დასაქმებული პირების შვებულებაში/საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ფაქტი ან ზემდგომი ორგანოს მითითებებისათვის ლოდინი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურებისთვის

[157] სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2019 წლის 11 ივნისის N14/34739 წერილი.

საკმარის საფუძველს.[158] ზოგადად მიიჩნევა, რომ რამდენადაც საერთო ხასიათისაა და ტიპიურია სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურების გამომწვევი მიზეზები, იმდენად დაუსაბუთებელია ისინი.[159]

შესაბამისად, როდესაც საქმის განხილვა სათანადო საფუძვლის გარეშე შეუსაბამოდ ჭიანურდება, დაზარალებულს უნდა მიეცეს ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება, რაც აუცილებლად მოიცავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომლის გამოთანაბრების ალეტრანტივა ფულადი ანაზღაურების გარდა ფაქტობრივად არ არსებობს.[160] აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია გამოირიცხოს მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც წარმოების გაჭიანურება გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის ცვლილებით, რეორგანიზაციით ან კონკრეტული საქმის ფარგლებში მრავალმხრივი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობით.[161]

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცესითა და გადაწყვეტილების დაგვიანებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების შემთხვევებს, ამ მოთხოვნას აქვს ნორმატიული საფუძვლები და წარმოების ვადების დაუსაბუთებლად დაღვევის შემთხვევებში ყველას

---

[158] Steinbeiß-Winkelmann/Sporrer: Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren (NJW 2014,177); OVG Hamburg: Arbeitsüberlastung kein “zureichender Grund" für die Nichtbescheidung des Widerspruchs (NJW 1990, 1379); VGH München: Weisung der obersten Landesplanungsbehörde nach § 7 ROG in immissionsschutzrechtlichem Genehmigungsverfahren (NVwZ 1990, 983).

[159] https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]

[160] https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]; BVerwG: Entschädigung wegen überlanger Verfahrensdauer (NVwZ-RR 2017, 635); Reiter: Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer (NJW 2015, 2554); Steinbeiß-Winkelmann/Sporrer: Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren (NJW 2014,177);

[161] https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]

წარმოეშობა ადმინისტრაციული ორგანოსაგან არაქონებრივი ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მოთხოვნა.

IV დასკვნა

საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების ლეგიტიმაციის ხარისხიდან გამომდინარე, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის განსაკუთრებული ინტერესის საგანია საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი ორგანოებისა თუ პირებისაგან მიყენებული ზიანის ეფექტიანი და ქმედითი ანაზღაურების მექანიზმის არსებობა. ამ სამართლებრივი ინტერესის დაცვას ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის ზოგადი დანაწესი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სავალდებულოობის თაობაზე, რაც დეტალურად მოწესრიგებულია სზაკ-ის 207-ე, 208-ე, 209-ე და სსკ-ის 1005-ე მუხლებით.

მითითებულ ნორმატიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა პირის მიმართ არსებული სამსახურეობრივი მოვალეობის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული დარღვევა წარმოადგენს, რაც მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ შედეგთან. აღნიშნული კომპონენტების არსებობაზეა დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოსათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება და ერთ-ერთი მათგანის გამორიცხვა ავტომატურად გამორიცხავს მოთხოვნის დასაბუთებულობას.

მორალური ზიანის არამონეტარული ბუნებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის კანონმდებლობა დამატებით წინაპირობას ითვალისწინებს, რაც პასუხისმგებლობის შეზღუდულ ფარგლებში გამოიხატება. სსკ-ის 413-ე მუხლი, როგორც ზოგადი ვალდებულებითსამართლებრივი ნორმა,[162] არაქონებრივი ზიანის

[162] Palandt/*Grüneberg*, Vorb v §249, Rn. 1.; *ჭანტურია ლ./ ზოიძე ბ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2001, გვ. 471.

კომპენსაციის შესაძლებლობას მხოლოდ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს და ამისათვის კანონში კონკრეტულად მითითების აუცილებლობას აწესებს. ქართული კანონმდებლობა გარკვეულ სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებით ცალსახად მიუთითებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე, თუმცა სსკ-ის 413-ე მუხლის მოქმედება არსებით გავლენას ახდენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებზე და რიგ შემთხვევებში დაზარალებულ პირებს სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვებს.

მსგავს პრობლემურ გარემოებას უკანონო პატიმრობის შედეგად დაზარალებულისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი წარმოადგენს, ვინაიდან კანონმდებლობაში არ არის პირდაპირი ჩანაწერი უკანონო პატიმრობის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლებაზე. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სასამრთლო პრაქტიკამ ითავა და დაადგინა, რომ სსსკ-ის 92-ე მუხლის ზოგადი დანაწესით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უშუალოდ დაკავშირებულია არაქონებრივი ზიანის წარმოშობასთან და ამისათვის არ არსებობს კანონში პირდაპირი ჩანაწერის არსებობის აუცილებლობა.[163]

დღესდღეობით აქტუალური საკითხია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოების ვადების დარღვევის პრობლემა, რომელთან მიმართებითაც არ არსებობს ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე. ამასთან, უკანონო პატიმრობისგან განსხვავებით, წარმოების ვადების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დადმგენი ნორმა ახალია ქართული კანონმდებლობისთვის. სზაკ-ით დაწესებულია ადმინისტრაციული

---

[163] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-656-631(2კ-13) გადაწყვეტილება; *ქათამაძე ნ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018, გვ. 110.

ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადები, თუმცა ისევე როგორც უკანონო პატიმრობის შემთხვევაში, კანონმდებლობაში არ არის პირდაპირი მითითება წარმოების ვადების დარღვევისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე.

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილების[164] შედეგად ამოქმედდა ახალი რედაქციის მე-18 მუხლი - „სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები“, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას ადამიანის ძირითად უფლებად აღიარებს და მისი დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას მოიაზრებს. გერმანიის სასამართლოების მიდგომას მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოების დაუსაბუთებლად გაჭიანურება ცალსახად წარმოშობს არაქონებრივ ზიანს, რომელიც შესაბამისი ანაზღაურების მექანიზმის არსებობას საჭიროებს.

საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებით შეიქმნა საკითხის სასამართლოს მიერ მოწესრიგების რეალური შესაძლებლობა. აქ სასამართლომ უნდა გამოიყენოს უკანონო პატიმრობასთან მიმართებით არსებული მიდგომა და ზოგად ნორმაზე - მე-18-ე მუხლზე დაყრდნობით გადაწყვიტოს წარმოების ვადების დარღვევით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. საკითხის სრულყოფილად მოწესრიგებისათვის, სასურველია ასევე სზაკ-ს დაემატოს ახალი ნორმა, რომელიც უშუალოდ შექმნის ადმინისტრაციული წარმოების გაჭიანურების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. რამდენადაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის სსკ-ის 413-ე მუხლი კანონში პირდაპირ მითითებას ითხოვს, საკითხის გადასაწყვეტად აღარ იქნება საჭირო კონსტიტუციის ზოგად ნორმებზე და პრინციპებზე აპელირება და

[164] საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 - ვებგვერდი, 19.10.2017წ.

სპეციალური ნორმის შემოტანით გამრტივდება უფლების რეალიზების სამართლებრივი მექანიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

ხუბუა გიორგი, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016;

ხუბუა გიორგი, მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კობა ყალიჩავა, თბილისი, 2018;

რუსიაშვილი გიორგი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, ვალდებულებითი სამართალი, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 408;

კარლ-პეტერ ზომერმანი, საჯარო მმართველობა დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016;

ჭანტურია ლადო/ზოიძე ბესარიონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, სარედაქციო კოლეგია: ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, თედო ნინიძე, რომან შენგელია, ჯონი ხეცურიანი, თბილისი, 2001;

ბიჭია მიხეილი, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3(51)16;

ქათამაძე ნინო, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფუნქციების გავლენა ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე, სამართლის ჟურნალი, N1, 2018;

ტურავა პაატა, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები - სახელმძღვანელო, რედ. გიორგი ხუბუა, კარლ-პეტერ ზომერმანი, თბილისი, 2016;

ტურავა პაატა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო", 2016;

ჯორბენაძე სერგო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედაქტორი: ლადო ჭანტურია, 2017, მუხლი 18;

შალვა ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1998;

მდინარაძე ანა, საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" პროექტის ფარგლებში 10.19.2010-08.02.2011წწ. ჩატარებული კვლევა, https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/opendata%20GE.pdf [20.06.2019წ. 23:40].

სასამართლოს გადაწყვეტილებები

ECHR, 2011 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე - *Enukidze and Girgvliani v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 25091/07);

ECHR, 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Jashi v. Georgia,* (საჩივრის ნომერი: 10799/06);

ECHR, 2012 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Janiashvili v. Georgia.* (საჩივრის ნომერი: 35887/05);

ECHR, 2007 წლის 06 ნოემბრის განჩინება საქმეზე - *Fatsuria v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 30779/04);

ECHR, 2014 წლის 07 ოქტომბრის განჩინება საქმეზე - *Begheluri and Others v. Georgia,* (განაცხადის ნომერი: 28490/02);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის Nას-344-322-2017 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის Nბს-864-860(კ-17) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-656-631(2კ-13) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 08 აპრილის Nბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის Nბს-661-646(2კ-14) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის Nბს-269-269(3კ-18) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 04 ივნისის Nბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nბს-134-132(კ-15) განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 10 აპრილის Nბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის Nბს-710-702(2კ-15) განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის Nას-889-839-2015 განჩინება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 07 მარტის Nბს-687-680(კ-16) გადაწყვეტილება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 სექტემბრის N2ბ/1713-15 გადაწყვეტილება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 02 ივლისის N2ბ/805-13 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 06 იანვრის N2ბ/7243-15 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის N2ბ/5499-17 განჩინება.

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №12, რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Ausarbeitung von Angehörigen der Wissenschaftlichen Dienste des Deutschen Bundestages, Dauer von Widerspruchverfahren und Anforderungen an den Widerspruchbescheid, https://www.bundestag.de/resource/blob/423846/c468de6ab56377e6c39987acee708c5d/wf-iii-121-06-pdf-data.pdf [19.06.2019. 12:00]

Bamberger, Heinz Georg/Roth, Herbert (Hrsg.), Beckischer Online-Kommentar BGB, 42. Edition, Stand: 01.02.2017 (zitiert: BeckOK BGB/*Bearbeiter*, BGB §...Rn…)

Benz, Silvia/Sieger, Klaus, Schmerzensgeld im Verkehrsunfallprozess, in: Straßenverkehrsrecht, 7. Jahrgang 2007, S 321-360 (zitiert: *Benz/Sieger* (Schmerzensgeld im Verkehrsunfallprozess, in:) SVR 2007, 321 S.)

Dauner-Lieb, Barbara/Langen, Werner (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch, NomosKommentar, Band 2/1, Schuldrecht, §§241-610, 3. Auflage 2016 (zitiert: NK-BGB/ *Bearbeiter* §…Rn. …)

Ekkenga, Jens (Red.), Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Band 3/2, Schuldrecht 1/2, §§243-304, 13. Auflage 2014 (zitiert: Soergel/Arnold § …Rn…)

Hirsch Christoph, Schuldrecht Allgemeiner Teil, 10. Auflage 2017, (zitiert: *Hirsch Christoph,* Schuldrecht Allg. Teil, Kap. ../Rn. .)

Jahnke, Jürgen, Schadenrechtliche Aspekte der Schmerzensgeldrente – zugleich Anmerkung zum Urteil des OLG Brandenburg vom 9.2.2006 (12 U 116/05), in: recht und schaden, 33. Jahrgang 2006, S.221-264 (zitiert: *Jahnke,* (Schadenrechtliche Aspekte der Schmerzensgeldrente, in:) r+s 2006, 221 S.)

Jauernig, Othmar (Begr.)/*Stürner, Rolf* (Hrsg.), Beckischer Online-Kommentar BGB, 17. Auflage 2018, (zitiert: Jauernig/*Bearbeiter* BGB §… Rn..)

Kürschner, Wolfgang, Schmerzensgeld bei Gefährdungshaftung, in: Neue Zeitschrift für Verkehrsrecht, 8. Jahrgang 1995, S1-48 (zitiert: *Kürschner*, (Schmerzensgeld bei Gefährdungshaftung, in:) NZV 1995, 1 S.)

Keiser, Thorsten, Schadensersatz und Schmerzensgeld bei Stalking?, in: Neue Juristische Wochenschrift, 60. Jahrgang 2007, S. 3377-3456 (zitiert: *Keiser,* (Schadenersatz bei Stalking, in:) NJW 2007, 3377, S.)

Neuner, Jörg, Das Schmerzensgeld, in: Juristische Schulung, 53. Jahrgang 2013, S. 577-672 (zitiert: *Neuner*, (das Schmerzensgeld, in:) JuS 2013, 577, S.)

Palandt, Otto (Begr.), Bürgerliches Gesetzbuch, Beckische kurze Kommentare, Band 7, 76., neubearbeitete Auflage 2017 (zitiert: Palandt/*Bearbeiter* §… Rn. ..)

Prütting, Hans/Wegen, Gerhard/Weinreich, Gerd (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, 12. Auflage 2017 (zitiert: PWW/*Bearbeiter* §…Rn…)

Reiter, Harald, Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer, in: Neue Juristische Wochenschrift, 35.

Jahrgang 2015, S. 2554-2560 (zitiert: Reiter: Die Rechtsnatur des Entschädigungsanspruchs wegen unangemessener Verfahrensdauer (NJW 2015, 2554))

Säcker, Franz Jürgen/Rixecker, Roland/Oetker, Hartmut/Limperg, Bettina (Hrsg.), Bürgerliches Gesetzbuch, Münchener Kommentar, Band 2, Schuldrecht – Allgemeiner Teil, §§241-432, 7. Auflage 2016 (zitiert: MüKoBGB/*Bearbeiter* §…Rn.…)

Sauer, Heiko, Staatshaftungsrecht – Eine Systematisierung für die Fallbearbeitung, in: Juristische Schulung, 8. Jahrgang 2012, S.695-699 (zitiert: Sauer: Staatshaftungsrecht (JuS 2012, 695))

Steinbeiß-Winkelmann, Christine/ Sporrer, Tim, Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren, in: Neue Juristische Wochenschrift, 4. Jahrgang 2014, S. 177-183 (zitiert: Steinbeiß-Winkelmann/Sporrer: Rechtsschutz bei überlangen Gerichtsverfahren (NJW 2014,177))

Schlick, Wolfgang, Die Rechtsprechung des BGH zu den öffentlich-rechtlichen Ersatzleistungen, in: Neue Juristische Wochenschrift, 37. Jahrgang 2018, S. 2684-2690 (zitiert: Schlick: Die Rechtsprechung des BGH zu den öffentlich-rechtlichen Ersatzleistungen (NJW 2018, 2684))

Unterreitmeier, Johannes, Aufopferungsentschädigung für immaterielle Nachteile, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 6. Jahrgang 2018, S. 383-385 (zitiert: Unterreitmeier: Aufopferungsentschädigung für immaterielle Nachteile (NVwZ 2018, 383))

Von Staudinger, Julius (Begr.), Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§249-254 (Schadensersatzrecht), Neubearbeitung 2005 von Gottfried Schiemann, (zitiert: Staudinger/Schiemann (2005) §…Rn…)

Wandt, Manfred, Gesetzliche Schuldverhältnisse, 8., neu bearbeitete Auflage 2017 (zitiert: *Wandt* Ges. Schuldverhältnisse §…Rn…)

Zwickel, Martin, Schockschaden und Angehörigenschmerzensgeld: neues vom BGH und vom Gesetzgeber, in: Neue Zeitschrift für Verkehrsrecht, 28. Jahrgang 2015, S. 209-264 (zitiert: *Zwickel*, (Schockschaden und Angehörigenschmerzensgeld, in:) NZV 2015, 209, S.)

BVerwG: Entschädigung wegen überlanger Verfahrensdauer, in: NVwZ-Rechtsprechungs-Report Verwaltungsrecht , 16. Jahrgang 2017, S. 635-648 (zitiert: BVerwG: Entschädigung wegen überlanger Verfahrensdauer (NVwZ-RR 2017, 635))

BGH: Haftung für Behandlungsfehler eines Notarztes bei Rettungsdiensteinsatz, in: Neue Juristische Wochenschrift, Jahrgang 2005, S. 429-433 (zitiert: BGH: Haftung für Behandlungsfehler eines Notarztes bei Rettungsdiensteinsatz (NJW 2005,429))

BGH: Amtspflicht einer Kassenärztlichen Verinigung für Gewährleistung der Notarztversorgung in einem Gebiet aufgrund Sicherstellungsauftrags, in: Neue Juristische Wochenschrift, 23. Jahrgang 1990, S. 1526-1529 (zitiert: BGH: Amtspflicht einer Kassenärztlichen Verinigung für Gewährleistung der Notarztversorgung in einem Gebiet aufgrund Sicherstellungsauftrags (NJW 1990,1526))

BGH: Amtshaftung bei fehlerhafter Nachprüfung der Lufttüchtigkeit eines Luftfahrtgeräts, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 3. Jahrgang 2002, S. 375-377 (BGH: Amtshaftung bei fehlerhafter Nachprüfung der Lufttüchtigkeit eines Luftfahrtgeräts, (NVwZ 2002, 375))

BGH: Entschädigung für enteignungsgleichen Eingriff, in: Neue Juristische Wochenschrift, Jahrgang 1984, S. 1169-1172 (zitiert: BGH: Entschädigung für enteignungsgleichen Eingriff (NJW 1984, 1169))

Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil 2 U 7/14, verkündet am 30.09.2014

Bundesverfassungsgericht, Beschluss 1 BvR 2853/08, verkündet am 11.11.2009

OVG Hamburg: Arbeitsüberlastung kein “zureichender Grund" für die Nichtbescheidung des Widerspruchs, in: Neue Juristische Wochenschrift, 21. Jahrgang 1990, S. 1379 (zitiert: OVG Hamburg: Arbeitsüberlastung kein “zureichender Grund" für die Nichtbescheidung des Widerspruchs (NJW 1990, 1379))

VGH München: Weisung der obersten Landesplanungsbehörde nach § 7 ROG in immissionsschutzrechtlichem Genehmigungsverfahren, in: Neue Zeitschrift für Verwaltungsrecht, 10. Jahrgang 1990, S. 983-985 (VGH München: Weisung der obersten Landesplanungsbehörde nach § 7 ROG in immissionsschutzrechtlichem Genehmigungsverfahren (NVwZ 1990, 983))